კლდე

№ 25

16 თიბათვე 1913 წ.

ყოველ კვირეული საზოგადოებრივ-ეკონო-მიური და სალიტერატურო ჟურნალი

მიიღება ხელის მოწერა. ფასი 1 წლ.,—5 მან. 6 თვ.—2 მ. 75 კ., 3 თვ.—1 მ. 50 კ., 1 თვ.—50 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

რედაქცია ღიაა 10—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევი მეთაური. ქართული სახალხო თეატრი.—$*_*^*$-სა. ყვავილები.—ეკალისა. ადამიანი.—დექსი დუტუ მეგრელისა. ნატო.—ან. კაპანაძისა. ხელოვნება, როგორც ფაქტორი საზოგადოებრივ ცხოვრებისა.—ა—ისა. უკანასკნელი ამბები. სომხები აღმოსავლეთ საქართველოში.—S. საკოოპერაციო კურსები. თხოვნა ქართველ მაჭმადიან ოჯახისა.—ი. კერესელიძისა. სახალხო უნივერსიტეტის გარშემო.—შუ—შასი. დიმიტრი არაყიშვილის კონცერტი.—რაესი.

თბილისი 16 თიბათვე

უბედურ კაცს ქვა ალმართში მოეწევაო, ნათქვამია და ეს ანდაზა სწორედ ზედ გამოჭრილია ქართველებზედ: რაც უნდა საკეთილოდ დაიწყოს რომელიმე საქმე, რაც უნდა ალმა წავიდეს,—იმდენი უმეცრება და შეუგნებლობა, იმდენი ღვარძლი და გაუტანლობა აედევნება, იმდენი უცოდინარობა პირადი ინტერესებისაც კი—საზოგადოებრივს ვილაჩივის,—რომ ქვის დაწევაზედაც უარესი ამბავი დატრიალდება. არ შეიძლება ითქვას, რომ ბედი გვწყალობდეს მაინცა და მაინც, მაგრამ მოხდა ისეთი უცნაური ამბავი, რომ უტკივილოდ და მოგებიანად ხელში ჩაგვივარდა ისეთი დიდ მნიშვნელოვანი, დაუფასებელი საქმე, როგორიც არის კახეთის რკინის გზა. ყველა სხვა ხალხი ამისათვის თავს გამოიდებდა, აამოძრავებდა ძალას და ჭკუას, რომ საუკეთესოდ გამოეყენებინა, მომზადებულიყო ამ დიდი საქმის გასაძღოლად—ჩვენ კი მთელი ძალ-ღონე ჩხუბსა და დავიდარაბას მოვანდომეთ, მოვანდომეთ იმის მტკიცებას—საჭიროა თუ არა, სასარგებლოა თუ არა ჩვენთვის რკინის გზის პატრონობა. მაგრამ ამ ჩვეულებრივ სენს ზედ დაერთო უარესი და უარესად ჩვეულებრივი ჭირი—მიწის გაყიდვა.

ჯერ კახ. რკინის გზა არ დამთავრებულა და ჩვენ ყოველდღე ვკითხულობთ განცხადებებს: **იყიდება 8 ათასი დესეტინა მუხის ტყე**; იყიდება 1000 დესეტინა მიწა, იყიდება სახნავები, იყიდება ვენახები, სახლ-კარი, სამოსახლო და სხვა... კახეთში.

ჩვენ არ ვიცნობთ სახელებს ამ სამშობლო ტერიტორიის გამყიდველებისას, არცა გვსურს ვიცნობდეთ, თუმცა დარწმუნებით ითქმის, რომ ესენი გადაგვარებული თავ.-აზნაურობის წრიდან იქნებიან—სხვას ვის ექნება ამდენი?

არავის მოეთხოვება შეგნება საზოგადო ეროვნული ინტერესისა, არავის მოეთხოვება ასეთი აქტის უსამართლობის შეგნება, როდესაც მთელი დასავ. საქართველო ჰკვნესის მიწის სივიწროვისაგან, როცა აქ, ქართლში, ჭაპანწყვეტაა, თვით მდიდარ კახეთშიაც გლეხობა სულს ირთმევს მდიდარი ლატიფუნდიების გვერდით, არავის მოეთხოვება მეთქი, რადგან შეგნება საზოგადო ინტერესისა და სამართლიანობა „ღვთისაგან“, არაა, იგი უმაღლესი, შემდეგი საფეხურია ადამიანის განვითარებისა, მაგრამ

კაცს რომ თავის საკუთარი, კერძო ინტერესიც არ ესმოდეს—ეს მარტო ქართველს შეუძლიან.

ვერ წარმოგვიდგენია, კაცს 8,000 დესეტინა მუხის ტყე ჰქონდეს, ისეთი ტყე, რომელიც იქნება აქამდის უქმადაც იდო უგზოობისა გამო,—და ეხლა, როცა კახ. რკ. გზა ბაზარს დაუახლოვებს—ეხლაც ვერ გამოიყენოს! მაგრამ ქართველ თავადიშვილს არ უყვარს ყურის გამობერტყა, არ უყვარს ხელის განძრევა იმისათვის, რომ თავისი საკუთარი სიმდიდრითაც კი ისარგებლოს და საშვილიშვილო ძვირფასი განძი აამოძრაოს, აამუშაოს, თვითონაც ისარგებლოს და სხვასაც ლუკმა გაუჩინოს. სულ სხვა, როცა მზა-მზარეულად ჩაუჩხრიალებენ ფულსა და დღესვე შეუძლიან გადაყლაპოს და ხვალინდელი დღე და შთამომავლობა თუნდა წყალსაც წაუღია.

ნუთუ 8,000 დესეტინა მუხის ტყეს, ადამიანმა თუ ექსპლუატაცია რიგიანად მოაწყო, 80,000 მან. შემოსავალი არ უნდა ჰქონდეს—დესეტინაზე თუმანი? და ექნება კიდეც, რასაკვირველია, როცა სხვის ხელში გადავა. ბევრი გვინახავს თავადიშვილი და კუდა-ბზიკა აზნაურიც, რომ ეხლა გამხმარ პურსა ნატრულობს და შურით შესცქნავის საკუთარი მამულის მეპატრონეს: ხომ ჩემ მამულზე გამდიდრდი და პატარა ალაგი რამე მაინც მომეციო. ასე ემართება ყველას, ვინც სიმდიდრეს ისე უყურებს, როგორც ქეიფის და ფლანგვის იარაღს, ვისაც შეგნება არა აქვს, რომ სიმდიდრესაც, საკუთრებას უნდა მიზანი, მიმართულება, მმოძრავი ძალა მიეცეს.

ვისაც ჩვენში ცოტა რამ კიდევ აბადია—ყოველთვის იდეალად უსაქმურობას ისახავს: არ მიჭირს და საქმე რად გავაკეთოვო. ეს კი საზოგადოების დაცემას და გაოხსირებას ნიშნავს.

ბრალი ჩვენი, რომ ჩვენი ინტელიგენციაც აქამდის თავ.-აზნაურულ წრიდან გამოდიოდა და ძალა-უნებურად ისისხლხორცებდა მის ზნე-ჩვეულებათ, მის ფსიხოლოგიას: სიამაყე ბევრი, ოცნება უმეტესი და საქმე კი ნამცეციც არა. ამისთანა ყოფაში მოგვასწრო ისეთმა ხანამ, როცა საჭიროა ენერგიის ერის ერთი პაწია ერთეულიც არ იკარგებოდეს და შეთანხმებულად იხარჯებოდეს საერთო საქმეზედ. იმის მაგიერ რომ დღეს, როცა პრესა, საზოგადოება, ხალხი ითვალისწინებს უნუგეშო მდგომარეობას, როცა აქა-იქ, კანტი-კუნტად იბადება ხალხი, რომელსაც სურს ეხლა მაინც შეუდგეს საქმეს, როცა ჩნდება კიდეც ეკონომიურ ორგანიზაციების ჩანასახი, კოოპერატივები, სამეურნეო სკოლები, სამეურნეო საზოგადოებანი და სხ. იმის მაგიერ, რომ დღეს მაინც შეჩერდეს საკუთარი ხელით სხვაზედ გაყიდვა მიწისა,—პირველ შემთხვევისათანავე კახელი თავ.-აზნ. მისდევს კვალში ქართველს და ძვირფასი საუნჯე ბაზარზედ გამოაქვს.

მაგრამ, რასაკვირველია, სანტიმენტალური გრძნობანი და სამართლიანობისადმი ღალადისით არ შეჩერდება ის ეკონომიური უკულმართობა, რომელიც დღეს ჩვენშია გამეფებული. ჩვენ უნდა რაიმე პრაქტიკული ღონე ვიღონოთ და გადაგვარებულ მესაკუთრეთ, რომელთაც თავად არ იციან მოხმარება საკუთრებისა, დაუპირდაპიროთ ისეთი საღი ელემენტების ორგანიზაცია, როგორიც არის გლეხობა. ჩვენმა გლეხმა, მართალია, მიწის ყადრი არ იცის, ჯერ არ შეუძლიან ინტენსიური მეურნეობის მოწყობა, მაგრამ მიწა მაინც უყვარს, როგორც თავისი მაცხოვრებელი და მისი გულისათვის არაფერს ზოგავს. საუბედუროდ, სოციალისტური პროპაგანდის შემდეგ, ჯერ კიდევ ბევრსა აქვს გამჯდარი ის აზრი, რომ მიწა საბოლოოდ გლეხკაცს უნდა დარჩეს მუქთადაო და ისინიც კი, ვისაც შეძლება აქვს—არა ყიდულობენ: დღეს-ხვალ ჩვენი იქნებაო. ასეთს შემცდარს აზრს ის შედეგი მოსდევს, რომ ბევრი მემამულე მოწადინებულიც რომ იყვეს საკუთარ გლეხებზედ მიწის გაყიდვას,—ვერ ახერხებს ამას და იძულებული ხდება უცხოზედ გაასაღოს... რომელსაც მუდმივ პირი აქვს დაღებული და მეტ ფასსაც იძლევა.

ასეთ პირობებში, პირველი საზრუნველი საგანი უნდა იყვეს შექმნა ისეთი ორგანიზაციებისა, რომელნიც სიტყვით, საქმით და ფულითაც დახმარებას გაუწევენ გლეხობას—შეიძინოს რაც შეიძლება მეტი მიწა და რაც შეიძლება შეღავათიანი პირობით.

ასეთი ორგანიზაცია ერთი კიდეცა გვაქვს—საადგილ-მამულო კომისია,—მაგრამ იგი არამთუ საკმარისი არ არის—იგი ერთ ისეთ ნაკლს ატარებს, რომელიც ზღუდავს და აფერხებს მიწის მოწესრიგების საქმეს—ეს არის მისი დამოკიდებულება ქართლ-კახეთის თავ.-აზნაურობისაგან და აქედანვე წარმომდგარი შეუძლებლობა დახმარების გაწევისა იმ ელემენტისათვის, რომელიც ყველაზედ მეტად დაინტერესებულიც არის, მეტი ფხის გამოჩენაც შეუძლიან და პრაქტიკულადაც უფრო ადვილად შეითვისებს გადასახლების იდეას. ჩვენ სახეში გვყავს იმერლობა. ჩვენის აზრით, საზოგადოთ დასავლეთი

საქართველო უფრო მომზადებულია იმიგრაციისათვის, ჯერ ერთი იმიტომ რომ მეტად გაჭირვებულია მიწით, იმიტომაც რომ უფრო მოძრავი და ცოცხალი ელემენტებითაა დასახლებული და ახალ პირობათაც უკეთესად ეგუება.

ამიტომ, ჩვენა გვგონია, სწორედ დრო იქნება დასავლეთ საქართველოს ინტელიგენცია დაეხმაროს ამ საქმეში, გაჭირვებულ მეურნეებს, შექმნას რაიმე დაწესებულება, კომიტეტი ან სხვა რამ სახისა, განსაკუთრებით გადმოსახლების პირობათა გამოსარკვევად. ჩვენის მხრით, ჩვენ აქედან დავეხმარებით ყველა ამ გვარ საქმეში და იქნება საერთო რამ გეგმა შემუშავდეს ორთავ მხარისათვის.

გადმოსახლება დასავლეთ საქართველოდან შეასუსტებს მიწის კრიზისს ერთის მხრით და გამოაფხიზლებს, მეორე მხრით. აქაურ გლეხკაცსაც, რომელიც მუდამ მუქთ მიწაზედ ოცნებობს.

ქართული სახალხო თეატრი

როგორც გავიგეთ, „სახალხო სახლთან" არსებულ ქართულ წარმოდგენათა სექციის გამგეობის თავმჯდომარემ ბნ. კ. ჯაფარიძემ დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა დეპუტატთა საკრებულოს და თხოულობს, თავად-აზნაურობამ დახმარება აღმოუჩინოს ქართულ სახალხო თეატრს.

ქართულ-სახალხო თეატრს ჩვენ კულტურულ და განმანათლებელ დაწესებულებათა შორის განსაკუთრებული და უპირატესი ადგილი უჭირავს. ვინც იცის, თუ როგორ ვითარდებოდა ეს საქმე ჩვენში, ვინც იცნობს მის წარსულს და მის ბრწყინვალე აწმყოს, მას არ შეუძლიან არ დაგვეთანხმოს, რომ მომავალშიაც მას დიდი მოვალეობა აწევს. პირდაპირ საარაკოა თავდადება და სიმხნევე იმ პატარა ჯგუფისა, რომელმაც ეს საქმე დაიწყო და მიუხედავად ყველანაირ დაბრკოლებისა, გამარჯვებული გამოვიდა. სახალხო თეატრი ჩვენში ჭეშმარიტად ხალხური ქმნილებაა. იგი პირმშო შვილია მუშათა ინტელიგენტურ ჯგუფებისა, რომლებიც ოცი წლის განმავლობაში თავიანთ წრეებში და ამ წრეების გარედაც დიდ პროპაგანდას ეწეოდნენ სიტყვით და საქმით, რომ თბილისის მდაბიო ხალხს შეეგნო დიადი მნიშვნელობა თეატრისა. ქართულ ინტელიგენციის სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ არც ეს იდეა დაშორებული ამ საქმეს და მისი საუკეთესო წარმომადგენელნი მუდამ თავ-გამოდებით იცავდნენ სახალხო თეატრის არსებობას. და ამ შეერთებულმა ძალამ მოწინავე მუშათა და ზოგიერთ ინტელიგენტისა, წარმოშვეს საქმე, რომელიც ეხლა მკვიდრ ნიადაგზედ სდგას; სახალხო თეატრი, როგორც იდეა, უზრუნველ-ყოფილია. იგი უკვე ნაწილია საზოგადოებრივ შეგნებისა და ამ მხრივ მას შიში არ მოელის. იგი არასოდეს არ დაილუპება. მაგრამ საქმის კარგა წაყვანისათვის საკმარისი არ არის მისი იდეური სიმტკიცე. საჭიროა მისი ნივთიერი გამაგრება და ამ მხრივ ქართული სახალხო თეატრი მუდამ შიშსა და ელდას განიცდის.

ქართულ სახალხო თეატრს თავისი გაწვრთნილი და სამაგალითო დასი ჰყავს. ქართულ სახალხო თეატრს თავისი მუდმივი მსმენელი და მაყურებელი ჰყავს და ეს დასი და ეს მაყურებელი საზოგადოება, ერთმანეთს ვერას დააყვედრიან. სახალხო თეატრი მუდამ სავსეა ხალხით. მაგრამ აქედან იმის დასკვნა არ შეიძლება, რომ ნივთიერი მდგომარეობაც უზრუნველ ყოფილია. პრინციპი სახალხო თეატრისა--იაფ-ფასიანი წარმოდგენაა. ეს გარემოება კი ისეთ მდგომარეობას ჰქმნის, რომ შემოსავალი ვერასოდეს ვერ უსწორდება თეატრის გასავალს. საჭიროა გარეშე დახმარება, რომ სახალხო თეატრს შეეძლოს საქმის უკეთესად მოწყობა. და სწორედ ამან აიძულა სახალხო თეატრის გამგეობა—მიემართნა თავად-აზნაურობისთვის, რათა მან აღმოუჩინოს ნივთიერი დახმარება.

ჩვენ ეჭვიც კი არა გვაქვს, რომ, როგორც დეპუტატთა საკრებულო, აგრეთვე მომავალი კრება თავად-აზნაურობისა მხედველობაში მიიღებს ქართულ სახალხო თეატრის გაჭირვებას და დახმარებას აღმოუჩენს იმ მოსაზრებით, რომ სახალხო თეატრი ჩვენთვის ისეთივე საჭირო დაწესებულებაა, როგორც წერა-კითხვის საზოგადოება, სკოლის საზოგადოება, საზოგადოება ეთნოგრაფიისა და ისტორიისა და კიდევ მრავალი სხვა, რომელთაც თავადაზნაურობა მუდამ უმართავდა ხელსა.

ჩვენ გვსურს შევეხოთ მხოლოდ იმ საკითხს, თუ რანაირი უნდა იყოს ეს დახმარება. უბრალო ხელის მონაცვლება სახალხო თეატრს განსაცდელისგან ვერ იხსნის. საჭიროა მუდმივი და სისტემატიური დახმარება, რათა სახალხო თეატრმა თავისუფლად ამოისუნთქოს და უფრო გახალისებული და დაიმედებული შეუდგეს თავის მოქმედებას.

მართალია თავად-აზნაურთა ხაზინას მრავალი

მოვალეობა აწევს და განსაკუთრებით კი წრეულს. მართალია მისი ხარჯები წრეულს გაცილებით მეტი იქმნება, რადგან მარტოოდენ ერთი კახეთის რკინის გზა მოითხოვს აუარებელ ხარჯებს, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზედ, თუ რა წესრიგით იქმნება შედგენილი 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ჩვენთვის როგორც მთელი საზოგადოებისთვის, ფრიად სასურველია, რომ ამ ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქმნას ახალი რუბრიკა—,,ქართული სახალხო თეატრი''.

* * *

ᲥᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ერთს შეძლებულ კახელ გლეხ-კაცს, რომლის ორმა ვაჟმა სათავად-აზნაურო გიმნაზია დაამთავრა, შეეკითხე:

— კაცო! ვაჟები რა უყავ? სად არიან?

— ბატონო, ერთმა უნივერსიტეტი დაამთავრა და ქ. კიევში მასწავლებლად დარჩა, მეორე კი სამხედრო სამსახურში შევიდა, ეხლა აფიცერია და თურქისტანში გახლავთ—მიპასუხა გლეხმა.

— მაშ შენ და შენი მამული მარტონი დარჩით?

— რა ვუყოთ, ბატონო... როგორმე იოლად წავალთ. ასე განათლებულ ახალგაზრდებს ხომ მაინც არ ვამუშავებ მამულში? რა იმათი საქმეა.

— ფულით გეხმარებიან?

— რასა ბრძანებთ... მე თვითონ ვეშველები. წელიწადში ხან ხუთს, ხან ათ თუმანს გაუგზავნი ხოლმე.

ასეთი შესანიშნავი საუბარი მქონდა ამ რამდენიმე დღის წინად ქართველ გლეხ-კაცთან.

ეს ფანტაზია კი არ გახლავთ.

ეს მწარე სინამდვილეა, მწარე ირონიაა ქართულ უკულმართ ცხოვრებისა!

ეს მწარე შედეგებია ჩვენ დაბრმავებულ ცალმხრივობისა ქართულ განათლების ასპარეზზედ!

გადახედეთ საქართველოს

ქვეყანა მოფენილია ვაჟების და ქალების კლასიკურ პროგიმნაზიებით, გიმნაზიებით, „ზავედენიებით", სადაც იზრდება დღეს ქართველი ახალგაზრდობა და სადაც მარტო ერთს გზას უჩვენებენ:

მოსწყდი შენს მიწა-წყალს, მოსწყდი ქართულ ცხოვრებას, მოსწყდი მძიმე შრომას, მოსწყდი შენს სამშობლოს. დავიწყეთ თბილისიდამ და ქუთაისიდამ, გადავედით საპროვინციო ქალაქებში, და დავამთავრეთ სოფლებით.

გიმნაზია, პროგიმნაზია

პროგიმნაზია, გიმნაზია,

ქართულ ოჯახს ვყვლეფავთ, ვანგრევთ, უპატრონო სამშობლო მიწა-წყალს ვცარცვავთ, ვყიდით, რომ შვილები განათლებულ რუს ჩინოვნიკებად, სასამართლოების მოხელე ადვოკატებად და აფიცრებად ვაქციოთ და ამით თვალს ვასიამოვნოთ და გადაგვარებული სული და გული დავიტკბოთ...

ამ ჩვენს წყურვილს საზღვარი არა აქვს...

თქვენ გინახავთ სასაფლაო, შემკული და მორთული ლამაზ, სურნელოვან ყვავილებით?

მოგწონებიათ არა?

მაგრამ ერთი წუთით, რადგანაც მალე მოგგონებიათ, რომ ამ ყვავილების ქვეშ მკვდარია მოქცეული.

და სევდით აივსება თქვენი გულიც...

განა ამავე სურათს არ წარმოადგენს დღეს ჩვენი ქვეყანა?

ზევით ყვავილები—განათლებული ქართველი ინტელიგენცია.

ქვევით მკვდარი—ქართველი ხალხი.

პირველი განათლებული ჩინოვნიკურ კლასიციზმით და... სოციალიზმით.

მეორე—წელში გაწყვეტილი, ღარიბი და ჩაგრული.

გინახავთ სადმე ქვეყანა, სადაც ინტელიგენცია და ხალხი ასე დაშორებულნი იყვნენ ერთმანეთს? გინახავთ სადმე ერი, რომლის ბედი ასე გადაბმული იყოს მის მიწა-წყალთან და ეკონომიურ ფაქტორებთან და მასთან ჰყავდეს ასეთი უკულმართი ინტელიგენცია?

უსაფუძვლო კლასიციზმი განათლებაში, უნიადაგო სოციალიზმი პოლიტიკაში.

პროგიმნაზია, გიმნაზია, უნივერსიტეტი და სოციალიზმი—კარიერაა დღევანდელ ქართველ ინტელიგენტისა.

მისი შედეგია:

ზერელა განათლება სკოლაში.

ზერელა პოლიტიკა პრესაში, ეროვნულ ცხოვრებაში.

მეურნეეთა ქვეყანაში 15 პროგიმნაზია და გიმნაზია, სამაგალითოდ მოწყობილი და არც ერთი სამეურნეო სკოლა!

წვრილ მესაკუთრეთა ქვეყანაში—5 სოციალისტური გაზეთი და არც ერთი ქართული ეროვნული გაზეთი.

ზევით ყვავილები.

ქვევით...

გადახედეთ დღეს ქართულ ცხოვრებას და მის გარშემო მტრების ფუსფუსს...

ქვევით, ბატონებო... პირქვე დაცემული ქართველი ერი და მკვდარი საქართველო.

ეკალი.

ადამიანი

ვნახე ბებერი, თმა შეღებილი,
ფერ-უმარილით გადაგლესილი,
იმანჭებოდა, იგრიხებოდა,
გამვლელ-გამომვლელს ეწონებოდა;
არ არსებობდა მისთვის სხვა გრძნობა,
კვლავ წუთს, პირუტყვებრ, ხორცის დატკბობა
იყო მარტოკა მისი მიზანი, —
და შემეზიზღა ადამიანი!..

—

ვნახე ყმაწვილი, გაქაღრებული,
შუბლ-დაღარული, გაფითრებული,
შორს, შორს ცის კიდეს მიშტერებოდა,
ფიქრს მწვავს, გულის-მღრღნელს, დამონებოდა;
მას არ იპყრობდა სხვა მისწრაფება,
ყოფნის იდუმალ მიზეზთ გაგება
იყო მარტოკა მისი მიზანი, —
და შემებრალა ადამიანი!..

—

ვნახე ვაჟკაცი, სიმხნით ავსილი,
თვალებ-ნათელი, სახე გაშლილი,
დაუღალავად მთელ დღეს შრომობდა,
სხვას აცოცხლებდა, თვითაც ცოცხლობდა;
არ იტაცებდა მას სხვა სურვილი,
მარად და მარად ექმნა კეთილი
იყო მარტოკა მისი მიზანი, —
და შემიყვარდა ადამიანი!..

1913 წ. დუტუ მეგრელი.

ნ ა ტ ო *)

3

ნატო შიშმა შეეპყრო. შიშმა და ზრუნვამ გაკლეს იქონია ნატოზე: გაუყვითლდა, გახდა, ჩამოდნა. ეოველ ღამ აკაზაკების თავდასხმას მოელოდა. ქალს ამ მდგომარეობაში რომ ხედავდა ლევანი, დამობდა შეეტეო მწუხარების მიზეზი და ნატომაც დაუფარავად უამბო ლევანს, რაც ელდა გამოიარა. ლევანს უნდოდა დაეფარა ქალი კვლავ ამნაირ განსაცდელისაგან და გულუბრეყვილოდ აღუთქვა ღამეობით მასთან ეოფნა.

ლევანი იეო დიმიტრის ნათლული გლეხიშვილი და დიმიტრის ოჯახში აღზრდილი. როდესაც დიმიტრიმ უმაწვილი ცოდი მოიეყვანა, — მოხდენილი მოზრდილი ბიჭის სახლში ეოფნა უსერხულად სცნო და შინ კასტუმრა; თუმცა მომეტებული წილი დიმიტრისას იეო ხოლმე და ნატოც მიიზიდა, როგორც ტოლი და მეგობარი.

ქალმაც არ იეცხოვა ლევანის სიტეკვა და ამ დღიდგან ლევანმა გაორკეცა ქვრივ-ობლებზე ზრუნვა.

უმაწვილი კაცის დახლოებამ ახალგაზრდა ქვრივთან, ხალხში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. უმაწვილი კაცი, ღამაზი, კეთილი და ნატოსათვის თავ-დადებული, რაც უფრო ხანი გადიოდა, ნატოს გულში მადლობის გარდა სხვა გრძნობასაც აღვიძებდა, მით უმეტეს, რომ ლევანიც უფრო და უფრო იხიბლებოდა ნატოს სილამაზით და სიახლოვით.

ბ

ნატოს და ლევანის შესახებ ხმა გავრცელდა, რომ ვითომ ლევანის დახმარებით ნატო მუცლებს იხდენდა და ერთი ახლად დაბადებული ბავშვი იმათ სახლის კედელთან ქვებში ეპოვეს ჩამარხული, რაზედაც მთელი სოფელი აეაეანდა, აშფოთდა. სოფელი ცოდვით აკვიესო და თავგამოდებულთ ვითომდა სოფლის გულშეშტკივართ გადასწეიტეს ნატოს და ლევანის დამოკიდებულების შესახებ საბუთი ეპოვათ, რომ შეეკვარებულნი საჯაროდ დაესაჯათ. იმათის ფიქრით, თუ ვეპატიეთ და არ გამოვაშკარავეთ მათი კავშირი, ჩვენმა ახალგაზრდობამ, შეიძლება მიბაძოს და ქვეეანა წაირეენებაო. ნატოს და ლევანს ჩუმად თვალ-ეურს ადევნებდნენ. კაცი სამუშაოდ აღარავის მიჭეანდა, ქალს ეკელანი ერიდებოდნენ, გზათ შეხვედრილნიც-კი გზას აუქცევდნენ ხოლმე ქმრის საგვარეულო მის ბავშვებს თავიანთ შვილებს არ აკარებდა.

---

*) იხ. „კლდე“ № 24.

მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ქალი არა ჰკარგავდა მათდამი სიბრალულს. როდესაც სოფელს ღრმა ძილი მოიცავდა და დღიური სიცოცხლის ძარღვის ცემა შესწყდებოდა, შავ წამოსასხამში შეხვეული, აჩრდილივით მიიპარებოდა ნატოს სახლისაკენ, გადასცემდა პურს, სანოვაგით სავსე ფესტამალს, თან გამამხნევებელ სიტყვებსაც ეტყოდა და გაჰქრებოდა ღამის მდუმარებაში.

ც

1905 წლ. მაისის დილა თენდებოდა. მზეს ჯერ არ ამოეყო მდიმარი პირი, მაგრამ აღმოსავლეთით ღრუბლები ოქროთი კიდეც დაფერილიყვნენ და დილის სიო ელაქუცებოდა ფოთლებს, ხეებს აშოსან-აშრიალებდა, რომლების ხასხას მწვანით მოსილ ყლორტებიდან-ყლორტებზე ცელქი ჭიკჭიკით დახტოდნენ ფრინველნი და საერთო ქებათა-ქებას უძღვნიდნენ შემოქმედს. სწორედ ამ ბუნებრივ კონცერტის დროს, რაღაცა ნაღვლიანი ხმა გამოცემით გაისმა ზარის რეკა & შორს-შორს სივრცეში დაინთქა. წუთს შესწყდა და ისევ განმეორდა... კიდევ და კიდევ. ეს ხმები არ ჰგვანდნენ ჩვეულებრივ წირვაზე მიმწვევ ლოცვის ხმას, არც სამადლობელო-სამხიარულო პარაკლისისას, არც სამგლოვიარო პანაშვიდისას. ზარები ერთ და იმავე მწუხრული ჰანგით ქვითინებდნენ. მათ კვნესა-კოდებაში ისმოდა, თითქო დღეს რაღაც დიდი და მძიმე სანახაობა უნდა ეხილა ცოდვილ ადამიანთა თვალს. ხალხი, დიდი და პატარა, კაცი, ქალი, ავადმყოფი, შეშინებული, ანგარიშ მიუცემლად იქითკენ მიეშურებოდნენ. ზოგი გზა და გზა ტანისამოსს იცვამდა, ზოგი პერანგის ამარა კაცი მირბოდა, ზოგი პირჯვრის წერით მიეჩქარებოდა; ქალები მტირალა ბავშვებით ხელში მიექანებოდნენ. მგზავრნი თავიანთ გზას სტოვებდნენ და ეკლესიისკენ მიმავალთ უერთდებოდნენ. მთელი სოფელი ირეოდა, ყველას თვალში შიში გამოკრთოდა: რა ამბავია?! ვიღუპებით?! ვიშ, რამე მოხდა ცუდი?! თავს გვესხმიან?! გადაიწვა ვინმე?! წარღვნა მოდის აქედან გვყრიან? ხორველა მოდის? ჟამი გაჩენილა? ზოგს გულიც მისდიოდა: ჩვენი აღსასრულის დღე მოსულაო, და ქვითინით ერთმანეთს ეთხოვებოდნენ, ვიდრე გაიგებდნენ საქმის ვითარებას. ამ გვარი ბრბოს ჟივილი, ხმაურობა, ბავშვების ტირილი, ზარების ჩახი-ჩუხი რეკა, რაღაც არეულ, საზარელ გრგვინვად გაისმოდა.

ეკლესიის ერთ მხარეს რამდენიმე შეიარაღებულ ახალგაზრდა კაცს გაეკეთებინა წრე და რაღაცა საქმეზე თათბირობდნენ, მსჯელობდნენ. ზარების უკანასკნელმა ხმამ რისხვით დაიგუგუნა და გახურებულ ჰაერის სივრცეში მისწყდა. წრე გაირღვა, გამოვიდა ერთი შეიარაღებულთაგანი, შესდგა მაღლობს, მომზადებულ ადგილზე, ხელი გადის-გადმოისვა, თავზე ჩალის ქუდი გაისწორა და დაიწყო მაღლა, რომლის ხმას თან და თან სიმძლავრე ემატებოდა:

— ძმებო და ამხანაგებო! ქალნო, კაცნო, მოხუცნო და ყრმანო! დღეს შევკრებილვართ იმიტომ რომ, დღეს უნდა გავასამართლოთ ორი ბილწი ადამიანი—ნატო და ლევან, რომელთა მურტალი, საზიზღარი, ურცხვი კავშირი რყვნის ჩვენ მომავალ ახალგაზრდობას. რის გამო კაცებს ქუდი აღარა გვხურავს, მანდილოსნებს მანდილი მოეხადათ და თუ დროით არ ვიღონეთ, ეხლავე თავს არ მოუარეთ, სხვა ხალხი დაგვგმობს, ქვეყნის თვალში შევრცხვებით, ნათესავ-ნაცნობნი გაგვკიცხავენ, პირს აგვარიდებენ, ხალხში ხმა აღარ გვექნება, აბუჩად აგვიგდებენ. რომ ეს დამცირება, თავლაფდასხმა ავიცდინოთ, ამიტომ, ამხანაგებო დღეს ღირსეულად უნდა დავსაჯოთ ის პირნი, რომელთა მიზეზით საქმეზე ხელი აგვიღია და ვცდებით შრომასა.

აქამდის სმენად გადაქცეულმა, სულ განაბულმა ხალხმა იგრიალა ქუხილის მსგავსად: დავსაჯოთ! დავსაჯოთ! —დიახ ძმებო, უნდა დავსაჯოთ სამაგალითოდ, რომ შემდეგისთვის დაუვიწყარი დარჩეს ხალხის ხსოვნაში.

იგრიალა ბრბოს მედგარმა ამოძახილმა—ეგრე იყოს, ეგრე! თქმა და აღსრულებაა! ეხლავე გამოიყვანეთ ეგ პილწები... ჩავქოლოთ! მოლაპარაკე აღტაცებულ-აღელვებული განაგრძობდა ისევ:—ჩვენს დღემდის დუმილს, სიჩუმეს, მხოლოდ დღევანდელ მოქმედებით გამოვისყიდით, მაშ გაუმარჯოს, ამხანაგებო!—აათავა ახალგაზრდამ და გაიშვირა ხელი ვირისაკენ, რომელიც იქ იდგა და შეკაზმული ეჭირათ ხელში.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ვირზე შევსვათ, ვირზე, ღრიალებდა ბრბო.

ხალხი გაშმაგებული იყო. სწყუროდა მალე მოეყვანათ სისრულეში საზიზღარი დასჯა. სულ მცირე ნაწილი აცხადებდა უკმაყოფილებას. უკმაყოფილოთა წრიდგან გამოვიდა უცნობი ახალგაზრდა ქალი, რომლის სახეზე უსამართლობის აღელვება გამომეტყველებდა და სიტყვა მოითხოვა. ბევრი უარზე იყო, ესწრაფებოდნენ მალე დამტკბარიყვნენ სხვის ტანჯვით. — მაგრამ მაინც ნება მისცეს; ზოგს ეგონა, უარეს სასჯელს თუ მოიგონებს რასმეო. ქალმა პირველი მოლაპარაკის ადგილი დაიჭირა, შუბლ-შეჭმუხვნილმა ბრბოს გადახედა, რაღაცა სიბრალული, მწუხარება აღებეჭდა სახეზე და წარმოსთქვა:

— ძმებო, ამხანაგებო! მე ყოველივე აქ გავიგე, აქ შეყრილ ზოგიერთი ხალხის პირიდგან ლევანის და ნატოს მომხდარი ამბებისა; ისიც გავიგე თუ როგორ მოხდა მათი ერთი-ერთის შორის კავშირი, რა იყო მიზე-

ზი, მათი დამოკიდებულების მიმტანი სიბუთი. თქვენ, ძმანო, არ უკვირდებით სიქმის სინამდვილეს, ცხოვრებას, ცხოვრების კარწყნა-უწესოებას; მზათა ხართ დასაჯოთ ისინი. სად იყვეთ მაშინ, როდესაც ემაწვილი, ჯერეთ ცხოვრების ქარ-ტეტლის გამოუცდელ ქალს ესხმოდნენ თავს ავაზაკები...

ამ სიტყვებზე ასტყდა ძახილი: ძირს! ძირს უშაქნისი მოდალაპარაკე, ძირს! ძირს! მოვკლათ, მოვკლათ!

მიეხვიენენ... ქალი არ შედრკა და მრისხანედ შესძახა:

— თქვენს სიტყვას სიტყვა არა ჭქვიან, მომეტეთ სიტყვა, დამასრულებინეთ კიდეც. ტოტა არ იყოს ხალხს შერცხვა უკან დაიწია და ქალმა განაგრძო:

— დარწმუნებული ვარ, ეხლა ამ ბრბოში ურევიან ის ვაჟბატონები, რომელთაც პირუტყვულად უნდოდათ ესარგებლათ უმწეო ქალის სისუსტით და რომელიც დაიფარა ჯერ მაგარმა კარებმა და მერმე ღვინამ და აი ეს გულადნი, მამაცნი, თითქოს ჯავრს იყრიანო, უნდათ დასაჯონ სათეოდ ქალი, ქალი რომელიც უპატიოსნოთ შესეიდვით არ დანებდა და მარტო წმინდა სიყვარულს მიეცა თავდავწყებით. დამშვიდდით, ძმებო, მოიფიქრეთ რას სჩადიხართ, რას სჩადით იმ დროს, როდესაც კიდის-კიდემდის გაისმის თავისუფლების ხმა, თავისუფალი კავშირი, სიყვარული, როდესაც იგმობა ძალ-მომრეობა, იმსხვრევა ბნელი ძალები, როდესაც შეირყა, ადსდგა, ამოძრავდა ქვეყანა; მიისწრაფვის სინათლისკენ.

ხალხი აბობოქრდა, მორთო ღრიალი:

— შეგნებაცა გვაქვს და გვესმის კიდეც რასაც ვაკეთებთ!

ბრბო შეჩოჩქოლდა. მიიწია ქალისაკენ და მუქარით მუშტებს უჩვენებდა. ქალმა ხალხის არეულობით ისარგებლა, თორემ შესაძლებელი იყო კიდეც მოეკლათ. შემდეგ ბრბო სოფლის შუა ფართო ორღობით გაემგზავრა და თან ეიყინით, ურიამულით და სიმღერით მიჰყავდა შეკაზმული ვირი. ხალხი ნატოს სახლთან შეჩერდა. რამდენიმე ვაჟკაცი შეიჭრა სახლში და ავადმყოფი, დასუსტებული ნატო ხელით გამოიყვანეს. უკნ, ი.ავ ᲗᲘᲠ შემურული, სისხლით შეთხუპნული, ნაცემი ლევანი, ახალ დაბადებული ბავშვით ხელში აყვანილი გაკავებული მოჰყავდათ. ნატო ნახევრად გაუტიტვლეს. ვირზედ შესმის დროს ზოგი ამბობდა: უკუ-ამ შევსვათ, კუდი ხელში დაეჭერინოთ; ზოგი კიეძახოდა ხარხარით: არა გვერდზე შევსვათ—დიდკაცურად, ენეინურად ვასეირნოთ, ვითომ ჩვენი ქალბატონია და ესეც თავს გამოგვიდების, რადგან ამოდენა მხლებელნი ვახლდებით... და ბეერდებოდნენ სიცილით. ზოგი, რაც ძალა ჰქონდა ჰყვიროდა—სწორედ შევსვათ, სწორედ, რომ თავის კურთს თვალით ხედავდესო.

ქალი შესვეს ვირზე და ბავშვი კალთაში ჩაუსვეს. ლევანი იბრძოდა თავგანწირვით, იმუქრებოდა, მაგრამ ამოდენა ხალხში რას გახდებოდა. ბოლოს შესძახა ნატოს: ნატო, გულს ნუ გაიტეხ, ვფიცავ შენს სიყვარულს. ამ უსინდისოთ ვერ შემირეთონ სიმტკიცე, ვერ განმაშორონ შენს თავსა... მთელი ქვეყანაც რომ მომესიოს, ჩემს შენთან მოცემულ სიტყვას ვერ გადამთქმევინებენ, გამაგრდი, გენატვა, გამაგრდი!

ლევანს სახედრის თოკი მისცეს ხელში და წინ გაუმძღვარეს. ქალი რომ არ გადმოვარდნილიეო, აქეთ-იქით უმაწვილი ვაჟკაცნი მოუდგნენ.

ხალხი ეკვირიდით, სტვენით, ხმაურობით, ტაშის კვრით გაემართა იმავე გზითა. გზა-გზა აჩერებდნენ დამცირებულთ, ლევანს მოხდიდნენ ქუდს, ატანდნენ ძალს ქალი ელანძა, თავისი თავი, ნატო... ჩაუფურთხებდნენ და დახურავდნენ. ვისაც რა ხვდებოდა—კენჭი, ნაფოტი, ჩხირი, ბელტი, ბატიკი, ჩვარი, სიცილ-ხარხარით ესროდნენ ნატოს.

ნატოს მშვენიერი სახე, რომლისთვისაც მნახველნი აღტაცებაში მოდიოდნენ, ეხლა შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენდა. ტეტხლის მფრქვევი ჟუჟუნა თვალები, რომლის ტქერას კ ცი დიდხანს ვერ შეუძლებდა, ეხლა უაზროდ დაბრეშილნი გამოიყურებოდნენ თეთრი ქურხლივით გაშლილი, მაღალი გულ-მკერდი ნარგიზის ფრიად შესცვლოდა ის გიშერივით შავი აწეწილი თმა მხრებზე დაჭეროდა. ქალ'ს უდონობისგან თავი მალ-მალ გულზე ეკიდებოდა. გვერდზედ მდგომი კაცები მოუხეშავად აუმართავდნენ. ნატო არა სტიროდა. გამშრალ, უსიცოცხლო მიმქრალ თვალებით გადახედ-გადმოხედავდა ბრბოს და კი ვერას ხედავდა. ნატო სდუმდა, არა ტირიოდა, მაგრამ მის სამგიეოდ ტრემლი ბევრი იღვრებოდა. ქალებს რომელნიც მის დამცირებაში თავის შეურაცხეოფას ხედავდნენ, გული ვერ მოეთქვათ ხმა-მაღლა ქვითინებდნენ... ბევრს გულიც მისდიოდა და გრძნობა დაკარგული სახლში მიეკვანა.

მზეკი ლურჯ, მოელვარე ციდგან დასცქეროდა ცოდვილ დედა-მიწაზედ მცხოვრებთ და თავის ცხარე, ცეტხლებრივ სხივებს, გულ მოსული, ისრებსავით უსობდა, სიბნელით მოცულ ტეინში უგუნურ ადამის შთამავალთ.

ბინდი იყო, როცა ლონე მიხდილნი, გონება დაკარგულნი თითქმის, თავზე ლაფ დასხმულნი და შეურაცხეოფილნი, ამოდენ ხალხი ნატოს სახლის წინ...

თ

შემოდგომის ერთ ღამეს, ეკლესია სანთლებით იყო გაჩირაღდნებული. საეკლესიო შეოფნი სიამოვნებით შეკ-

ყურებდნენ თავგვირგვინიან მეფე-დედოფალს, რომელნიც გაბრწყინვალებულ ტრაპეზის წინ, ახსავლის კარის პირდაპირ, ანთებულ ვარდებიან კელაპტრებით ხელში ერთურთის ბედნიერების გამომეტყველ ღიმილით მისჩერებოდნენ. შემოსილ მღვდელ მოძღვარმა, რომ მეფეს, წესისამებრ, უთხრა სიტყვები და ბეჭედი გაუკეთა მარჯვენა ხელის თითზე და დედოფლის მიმართ დაიწყო: „დაიწიდნის მხევალი ღვთისა ანასტასია..." ამ დროს, შეჯგუფებული ხალხის ტალღა შეინძრა, შუა გაიყო და ახალგაზრდა, შავებით მოსილი ქალი წარსდგა მოძღვრის წინ და ღრმად ამოიკვნესა. ლამაზ, ფერ-მკრთალ გამხდარ სახეზე ეტყობოდა, ბევრი ტანჯვა-ნაღველი გამოევლო. ქალმა, ცოტა სული რომ მოითქმა, მღვდელს დაუჭირა ხელი და შესძახა:

— მამაო, ვის სწერ ჯვარსა? იცით რომ ეგ კაცი ჩემი საქმროა, იცით რომ მე და ეგ ერთმანეთთან ცოლქმრულის კავშირისათვის საქვეყნოდ გაგვასამართლეს, დაგვსაჯეს?!.— მერე მეფეს მიუბრუნდა — და შენ ლევან, ნუ თუ შენს ფიცს, სიყვარულს, სიბრალულს ეს ღალატი მოსდევდა, ნუ თუ გსურს, რომ ისედაც ტანჯული, დამწუხრებული, შენგანაც უფრო ტანჯული ვიყო? ლევან, შენდამი ჩემი წრფელი სიყვარული შელახე და შენც სხვაზე მცვლი? თითქოს გებრალებოდი, გიყვარდი, მამხნევებდი, მეფიცებოდი — ყველაფერში შენი თანაზიარი ვიქნებით, შენის გულისთვის მთელ ქვეყანას შევებრძოლებით... შენ...

გაშტერებული მღვდელი და ხალხი გონს მოვიდნენ და ღონე მიხდილი ქალი ეკლესიიდგან გამოიტანეს.

II

1912 წელს მაისის ერთ დილას თბილისში უმთავრეს ქუჩით მოვდიოდი. ჩემს წინ, დინჯის ნაბიჯით მიირხეოდა საშუალოზე ცოტა მაღალი, წერწეტი მოხდენილი ტანის ახალგაზრდა ქალი, რომელიც ღარიბად იყო ჩაცმული, მაგრამ თითქმის ყველა გამვლელ-გამომვლელის ყურადღებას იქცევდა.

წინ რომ ვუსწრე და დავაცქერდი, ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა: ეს იყო ჩვენი ნატო, ჩვენი მადრანელი ნატო. ჩემ გამოლაპარაკებაზედ ნატო შეწითლდა, თითქო შერცხვა ნაცნობის შეხვედრა, მაგრამ ღიმილით მაინც სალამი მომცა და შეკითხვაზედ აღელვებულმა მიპასუხა:

— ხომ იცი, და, რაც გარდამხდა იმ უბედურების შემდეგ — ნატო შეჟრჟოლდა. — ჰო, იმ უბედურების შემდეგ, იმ დაწყევლილ სოფლად რაღას მედგომინებოდა, და თუ ვითმენდი ჩემ შეურაცხმყოფელ ბრბოთა ხროვაში ყოფნას, ლევანის სიყვარულით. რაკი იმანაც მიღალატა, იმის ჯვრის წერის მეორე დღესვე, მშვიდობით ჩამოვედ ქალაქში. მინდოდა თავი მომეკლა, მაგრამ შვილებისთვის აბა რა მეყო. დავიქირავე შვიდ-აბაზიანი საოდავი და ჩემი მცირე ბარგი-ბარხანით მოვთავსდი ნესტიან, აშმორებულ სადგომში. ბავშვებს სახლში ვტოვებდი, მე კი აქა-იქ სახლებში დავწანწალებდი ლუკმაპურის საშოვნელად. ზოგან მატყლს ვწეწდი, ზოგან ბამბულს ვარჩევდი, ზოგან ვრეცხდი, ვაუთოვებდი, ვაკერებდი თეთრეულს, წინდებს ვქსოვდი, საჭმელს ვაკეთებდი და ამ შრომის მცირე სასყიდლით ნახევრად მშიერ-ტიტველ შვილებს ვარჩენდი და ვირჩენ თავს. ღვთის მადლით, ბედს არ ვემდური და იმის შემდეგ, რაც გადამხდა, რაც მე ჭირი და ვარამი გამოვიარე ეხლანდელი ცხოვრება ჩემთვის თუ არა, შვილებისათვის მაინც ძვირფასი მგონია.

— ლევანი? ლევანი არ გაგონდება განა, შევეკითხე თანაგრძნობით.

— რა ვქნა რომ მაგონდება, ღმერთმა აპატიოს ჩემი ღალატი და მე კი ცუდი არა მაგონდება რა იმისი; თუ კარგი იყო რამ ჩემ ცხოვრებაში — ისევ იმის წყალობით, თორემ სხვა რა მინახავს, გაათავა ნატომ და პატარა ქუჩაში ჩაუხვია.

მე აღარ გავედევნე, რაკი ვგრძნობდი, როგორ ეძნელებოდა და აღელვებდა ძველი ამბების მაგონება.

ან. კაპანაძისა.

ხელოვნება, როგორც ფაქტორი საზოგადოებრივ ცხოვრებისა

არიან ერები, რომელთა ძლიერება მარტო კულტურულ ძლიერებით არ განიზომება. ძლიერი ფლოტი, დიდი ჯარი, განვითარებული ეკონომიური ცხოვრება და ბოლოს ძლიერი თანამედროვე სახელმწიფო ორგანიზაცია — აი მთავარი ძალა მათი, რომელიც ჰქმნის მათ პრესტიჟს და ძლიერებას. მაგრამ არიან ერები, რომლებიც მოკლებულ არიან ყველა ამ ნივთიერ ძლიერებას და მაშინ მათი ძალის გამომსახველი კულტურის ისეთი სფეროებია, როგორიც არის მეცნიერება და ხელოვნება. ასეთ ერებს ეკუთვნიან პატარა ერები, რომლებიც ისტორიულ, პო-

ლიტიკურ, კლიმატიურ და სხვა გარემოებათა გამო, ყოველივე სახსარს იყენენ მოკლებულნი—შეექმნათ ძლიერი სახელმწიფო და, პირიქით, მუდამ განსაცდელში იყვნენ ცხოვრების გზაზედ, რომელიმე ვეშაპ სახელმწიფოს არ გადაეყლაპა, არ ჩაენთქა, ან არ აღეგავა მიწის პირიდან. ისტორია გვიჩვენებს, რომ ბევრი ასეთი პატარა ერი მოისპო. მაგრამ თუ კიდევ სადმე შეინახა თავი პატარა ერმა—მხოლოდ მაღალ და განვითარებულ კულტურის საშუალებით და ძლიერის ხელოვნებით. არის ბრძოლის ისეთი იარაღები, რომლებიც ისე არა გრგვინავენ, როგორც თოფ-ზარბაზნები, მაგრამ მათი მპყრობელი ძალა მით უფრო დიდია. ბევრი პატარა ერი უკვე გაუთანასწორდა დიდსა და მძლავრ ერებსა (თუ მაგ., გერმანიის კულტურული ძლიერება ნახევრად ხმლით არის შექმნილი, სამაგიეროდ პატარა სკანდინავია უბრალო წერა-კითხვის მცოდნე მოქალაქემ აიყვანა თანამედროვე კულტურულ სიმაღლემდე.

ფრიად მრავალ-ფეროვანი და საინტერესოა ევოლიუცია ევროპის კულტურისა და ისტორია წარსულის ცხოვრებისა, მარტო ომების და სისხლის ღვრის პოეზია არ არის. ძლერ გერმანიის ჩრდილოეთ სამხღვაოზე მოსახლეობს პატარა სახელმწიფო—დანია, რომლის კულტურა არაფრით ჩამოუვარდება გერმანიისას. მაგრამ, აბა გადაათვალიერეთ ისტორია ამ ორი სახელმწიფოსი. თავიანთ მაღალ კულტურას მათ მიაღწიეს სულ სხვა და სხვა გზით და ნათელ ჰყვეს, რომ ცხოვრება ამოცანაა, რომლის ახსნა, სხვა და სხვა საშუალებით არის შესაძლებელი. აიღეთ ისტორია გერმანიისა—ეს არის ისტორია ომებისა, ისტორია რეფორმაციისა, მუშათა ბრძოლისა და ინდუსტრიისა. გერმანიის ცხოვრება სავსეა გენიოს ადამიანებით, ძლიერ პიროვნებით, რომელთაც ხელში მძიმე ჩაქუჩი ეჭირათ და თავის ხმაურობით ყველას აყრუებდნენ. სტეხავდნენ არა მარტო კლდე-ღრეებს, რკინის გზების გამოსაყვანად, სტეხავდენ და ამტვრევდნენ თვით ისეთ ღვთიურ ქმნილებას, როგორიც არის ადამიანის თავის ქალა, რომ შიგ ჩაეწყოთ ახალი იდეები, სწორე აზრები. სამაგიეროდ, რას წარძოადგენდა დანია—ეს ერთი კიკნა სახელმწიფო? საუკუნეთა განმავლობაში იგი ადგა თავის ჩუმ ცხოვრებას და გადმოდიოდა თავის საზღვრებს მხოლოდ მაშინ, როცა ძას აიძულებდნენ, როდესაც საზოგადო პოლიტიკური კონიუნქტურა არღვევდა ამ საზღვრებს და ევროპას ევლინებოდა საშიშარი აჩრდილი საერთა-შორისო ომისა. და ვიდრე ევროპის ერთა ძლიერება მარტოოდენ იარაღით განისაზღვრებოდა, დანია მუდამ გაქელილი და ჩრდილ მიყენებული სახელმწიფო იყო, რადგან ფიზიკური ძალა მას არა ჰქონდა. თვით ადამიანებიც კი არ ევლინებოდნენ მაშინდელ დანიას ძლიერ პიროვნებად. მას არ ჰყავდა ძლიერი პიროვნებანი, რომლებიც წინააღმდეგ სტიქიონისა, ჰქმნიან ახალ ცხოვრებას. და მართლაც სწორეა აზრი ერთ ევროპიელ მწერლისა, რომ ყველაზედ სახელ-განთქმული დანიელი—ჰამლეტი იყო, ესე იგი ჰამლეტი ლიტარატურული და ისიც შექმნილი არა თვით დანიის ლიტერატურისაგან, არამედ შექსპირის მიერ. აი, როგორი იყო ისტორიული ცხოვრება დანიისა. მაგრამ ცხოვრება შეიცვალა, უხეშმა ფიზიკურმა ძალამ, ომებმა და სისხლის ღვრამ გზა დაუთმეს კულტურულ მოღვაწეობას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას, ინდუსტრიას და პარლამენტარიზმს და დანია გაუთანასწორდა კულტურულად გერმანიას. ის კულტურული მუშაობა, რომელიც წაუმძღვარა დანიამ თავის ცხოვრებას, მრავალ-ფეროვანია, მაგრამ ყველაზედ დიდი როლი ამაში ლიტერატურამ ითამაშა. თუ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ყველაზედ სახელ-განთქმული დანიელი ჰამლეტი იყო, ეს ფრიად ეგზოტიური და მისტიური ლიტერატურული ქმნილება—იგი ამაყობს ეხლა ლიტერატურულ და ხელოვნების ტალანტებით და გეორგ ბრანდესი—სახელ-გათქმული დანიელი კრიტიკოსი, ნამდვილი შემქნელია დანიის ძლიერებისა. გეორგ ბრანდესი და მისი მომდევნო მოღვაწეები იყვნენ სწორედ ის მთმავარ-სარდლები, რომლებმაც დანია ევროპის კულტურულ სახელმწიფოთა და ერთა წრეში შეიყვანეს.

ნორვეგია უფრო უაღრეს მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, რომ ლიტერატურა და ხელოვნება თანამედროვე ცხოვრებაში დიდ მნიშვნელობას იძენს და მრავალ შემთხვევაში სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორთა მაგიერობასა სწევს. რა იყო ნორვეგია? კლდიანი ქვეყანა, რომლის შესახებ კაცობრიობამ მხოლოდ ის იცოდა, რომ ამ კლდიან ქვეყანას ჩრდილოეთით ფიორდები აქვსო. პოლიტიკური კონიუნქტურა ნორვეგიისა იგივე იყო, რაც სხვა პატარა ერებისა. იგი გახდა მსხვერპლი შვეციის ოდესღაც ყოფილ ძლიერებისა და თუმცა გარემოება აღარ ამართლებდა მდგომარეობას, თუმცა თვით შვეცია აღარ იყო ძლიერი, მაგრამ პოლიტიკური ბატონობა მისკენ იყო გადასული და ადრე თუ გვიან დინასტიული საკითხი, შესაძლებე-

ლია, პოლიტიკურ საკითხად გადაქცეულიყო და ნორვეგიას თავისუფლება დაეკარგა. ეს არ მოხდა, ნორვეგია გამოეყო შვეციას, მაგრამ ფრიად საინტერესოა, რით მოახერხა ეს ნორვეგიამ? არა ომებით და სისხლის ღვრით! და აქაც, როგორც დანიაში, გენერლების და მინისტრების როლი ლიტერატორებმა და ხელოვნების წარმომადგენლებმა შეასრულეს. იბსენამდის ნორვეგია და მისი კულტურა უცნობი იყო ევროპისთვის, მაგრამ გაჩნდა იბსენი, მას მოჰყვნენ სხვა მწერლები და ევროპა მოიხიბლა ნორვეგიის ლიტერატურით. ერმა სიამაყე იგრძნო, მან შეიგნო რა საუნჯეს ჰფარავდნენ ეს გაციებული კლდეები, მან შეიყვარა თავისი სამშობლო სიამაყით, იცნო თავისი თავი, როგორც სწორი დედამიწის ზურგზედ და როცა დადგა დრო, ნორვეგიას უფრო მეტი ავტორიტეტი ჰქონდა, ვიდრე შვეციას. იგი ჩამოშორდა შ ეციას ისე, რომ ამ უკანასკნელმა წინააღმდეგობაც ვერ მოახერხა.

მაგრამ, თუ რა ძლიერი ფაქტორია ხელოვნება თანამედროვე ცხოვრებაში, ამის უფრო უკეთეს მაგალითს წარმოადგენს ჩეხიის ცხოვრება. შეხედეთ ჩეხიის რუქას და თქვენ შეგაშინებთ ბედი ამ ხალხისა! იგი გარშემორტყმულია გერმანელ ძლიერ სახელმწიფოებით, დიდის კულტურით და გაწვრთნილის ჯარით. ჩეხიის ცხოვრებაში ბევრი რამ არის შესასწავლი სხვა პატარა ერებისთვის. ჩეხია ეხლა ის აღარ არის, რაც იყო ამ ორმოცდაათი წლის წინად, მაგრამ რაც იყო იგი უწინ, ამას შეუძლიან ადამიანი ერთსა და იმავე დროს სასოწარკვეთილებაშიც ჩააგდოს და გულში იმედიც აღუფრთოვანოს. მართალია მას არა აქვს ისეთი ძლიერი ლიტერატურა, როგორც ნორვეგიას და დანიას, მაგრამ ჩეხებმა ყურადღება ხელოვნების სხვა დარგს მიაპყრეს და თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, მუსიკა იყო ჩეხიაში ის ფაქტორი, რომელიც ერის აღორძინებას საძირკველი ჩაუყარა. ჩეხიის კომპოზიტორები დვორჟაკი და სმეტანა, რომელთაგან ერთი უბრალო მელორე იყო და ნოტები და საზოგადოთ წერა-კითხვა პირველად თვრამეტის წლისამ შეისწავლა — ნიჭით ისეთი ძლიერები არ იყვნენ და ვერც ისეთი მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს, როგორც იბსენმა და ბრანდესმა, მაგრამ მათ შეჰქმნეს სამაგალითო ჩეხური მუსიკა და პრაგა, ჩეხიის დედაქალაქი, მუსიკალურ ცენტრად აქციეს. — მუსიკის წყალობით პრაგამ მთელი ევროპის ყურადღება დაიმსახურა; ჩეხებს დაუწყეს ცქერა, როგორც ევროპიულ ერს და მუსიკის მასწავლებლები, რომელთაც იძლეოდა ჩეხია — უპირველესი პროპაგანდისტები იყვნენ ჩეხურ კულტურისა. და თუ მართალია, რომ ოდესღაც საყვირებმა იერიქონის კედლები დააქცია, ჩეხურმა მელოდიებმაც სწორედ ეს ჩაიდინეს. მათ პირველებმა დაანგრიეს ის კედლები, რომლებშიაც იხრჩობოდა ჩეხია და პირველებმა შეჰქმნეს კულტურული წარმოდგენა ჩეხიაზედ; და ამით აღფრთოვანებული ხალხი, გულმოდგინედ შეუდგა თავის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესებას.

ასევე ითქმის სხვა ერებზედაც; ტკბილი მალოროსიული მელოდიები პირდაპირ პოლიტიკურ პროპაგანდის როლს ასრულებენ და აღვიძებენ რა პატრიოტიზმს თვით მალოროსებში, იმავე დროს ყველას აშკარად ეუბნებიან, რომ ცოცხალია კიდევ მალოროსთა ხალხური სული, რომელიც ოდესმე სხეულს შეისხავს.

ყველა ზემონათქვამიდან, რასაკვირველია, არ შეძლება იმის დასკვნა, რომ ზემოაღნიშნულმა ერებმა მხოლოდ ლიტერატურით და მუსიკით მიაღწიეს თავის პროგრესს. ისინი ბედნიერები არიან კიდევ იმით, რომ ანვითარებდნენ ცხოვრების სხვა დარგებსაც, მაგრამ ღრმად უბედურნი იქნებიან ის ერები, რომლებიც ვერ შეიგნებენ ხელოვნების დიდ მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ხელოვნება და ლიტერატურა საქართველოსი ძველია, ისე ძველი, ვით თვით საქართველო და ისინი მუდამ ქართულ კულტურის მაჩვენებელნი იყვნენ. დაეცა საქართველოს პოლიტიკური ორგანიზმი და მისი ხელოვნება და ლიტერატურა ამ ნანგრევებში მოჰყვნენ. საჭიროა, ამ ნანგრევთა გადაწმენდა, საჭიროა ამ აკლდამის ახსნა, რომ სხეული ხალხისა, როგორც ცოცხლად დამარხული, განთავისუფლებულ იქმნას. და ეს მოვალეობა უმთავრესად ლიტერატურამ და ხელოვნებამ უნდა იკისროს. ჩვენი თქმულებანი ისევე პოეზიით სავსენი არიან, როგორც ნორვეგიული „საგები“, ჩვენი ხალხური მელოდიები — ისევე თვალ-წარმტაცი და ნაზნი არიან, როგორც ჩეხური ჰანგები და ამ მხრივ ჩვენს თაობას მრავალი საქმე აქვს გასაკეთებელი, საჭიროა ცოდნა, საჭიროა ნიჭი, რომ ეს მოხდეს, მაგრამ ყველაზედ მეტად საჭიროა შეგნება და თანაგრძნობა, რომ ნიჭითა და ცოდნით აღჭურვილი ხალხი უშიშრად ჰქმნიდეს თავის საქმეს.

ა—ი.

უკანასკნელი ამბები

ახალი ქართული შენობა. როგორც მოეხსენება ჩვენს მკითხველს, თბილისის სათავად აზნაურო ბანკი შეუდგა კიდეც საკუთარ ახალ შენობის აგებას, რისთვისაც გადადებული აქვს 400,000 მანეთამდის (ადგილის შესაძენი და საამშენებლო თანხა). ამ ახალ შენობის პროექტი დამტკიცებულია კიდეც ბანკის გამგეობის და ზედამხედველ კომიტეტისაგან. სამწუხაროდ, დამტკიცებულ პროექტს მთლიანი ხასიათი არა აქვს; იგი შეკოწიწებულია რამდენიმე სხვა და სხვა პროექტისაგან და როგორც კომპეტენტურ წრეებში ამბობენ, ხსენებული ახალ ქართულ ბანკის პროექტი არც გარეგნობით (სტილით) არც შიგნითი მოწყობილობით საკმარისად ვერ აკმაყოფილებს საბანკო შენობის მოთხოვნილებათ. არ ვიცით რამდენად მართალია ეს ეჭვები, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რა დაწყეულილი ბედი სდევნის ქართულ საამშენებლო საქმიანობას (ქართული თეატრი, ქართული გიმნაზია, ილია ჭავჭავაძის ძეგლი, თავის მრავალ არქიტექტურულ და საამშენებლო ნაკლებით), რომელმაც აუარებელი ფული წაიღო, მაგრამ არაფერი შესანიშნავი ან მკვიდრი შენობა არ შესძინა ქართულ საზოგადოებას, ამ ახალ ეჭვებმაც არ უნდა გაგვაკვირკონ.

მართალია, პროექტზედ ლაპარაკი ეხლა ნაგვიანევია, რადგანაც მუშაობას კიდეც შეუდგნენ, მაგრამ უდროო არ იქნება ამ საქმის მოწყობის სხვა რიგის ნაკლზედ მივუთითოთ. საამშენებლო კომისიაში, რომელსაც ჩაბარებული აქვს ბანკის შენობის ბედი, მარტოდ მარტო სამი პირია არჩეული: ბანკის გამგეობის თავმჯდომარე უგანათლებულესი თავადი მ. გრუზინსკი და ორიც ზედამხედველ კომიტეტის წევრი თავ. ივ. ბარათაშვილი და თავ. დავ. ჯორჯაძე. მათ შორის თავ. მ. გრუზინსკი ისეა დატვირთული ბანკის ჩვეულებრივი საქმით, რომ კომისიაში მუშაობას ვერ შესძლებს; თავ. ი. ბარათაშვილს და დ. ჯორჯაძეს კი, რასაკვირველია, ძალიან გაუძნელდებათ ამ რთულ საქმის მარტოდ გაძღოლა, როგორც გაუძნელდათ ეს, როცა ისინი ქართულ თეატრის შენობის საქმეს უძღვებოდნენ (თუ არ ვცდებით ი. ბარათაშვილი და დ. ჯორჯაძე ქართულ თეატრის საამშენებლო კომიტეტის ორი აქტიურთაგანი წევრნი იყვნენ). ბევრი შეცდომები იყო მაშინ, შესაძლოა ეს შეცდომები კვლავ განმეორდეს, თუ მათ არ მიეშველებათ კიდევ რამდენიმე მცოდნე პირი. მაგალითად, თუ მართალია ის, რომ ვითომ მაო ბანკის შენობის მასალების მიმღებად მიუწვევიათ თავ. ნ. ვახვახიშვილი (ყოფილი გორის მაზრის უფროსი) ეს პირველი და დიდი შეცდომაა, რადგანაც დარწმუნებულნი ვართ, რომ თავ. ვახვახიშვილს ამ ფრიად სერიოზულ საქმეში, როგორც საამშენებლო მასალების გასინჯვა და მიღებაა, ბევრი არა უნდა გაეგებოდეს რა. შესაძლოა, ამ კომისიას უნებლიედ სხვა შეცდომებიც მოუვიდეს და ბანკის სახლიც ისეთ დანაის უძირო ქვევრად გვექცეს, როგორც ს. აზნაურო გიმნაზია. ან ისეთ არქიტექტურულ „გაუგებრობად", როგორიც ქართული თეატრია. ჩვენის აზრით, ბანკის გამგეობა მოვალეა უფრო აქტიურად უვლიდეს საკუთარ შენობას, რომ საქმე თავში საცემი არ გაუხდეს თვით ბანკს ან ქ. საზოგადოებას. ნამეტნავად სიფრთხილე ჰმართებთ ამ საქმის გამძღოლთ იმ მაგალითების შემდეგ, რომელნიც... ამართულან კი, მაგრამ დღესაც გულს აწყლულებენ უნუგეშო მდგომარეობით. და, ჩვენის აზრით, საქმის სასარგებლოდ, ხსენებული კომისია უნდა შევსებული იყოს კიდევ 3-4 მცოდნე კაცით, და არა მარტო ბანკის მართველობის, არამედ ბანკის რწმუნებულთა წრიდანაც, რადგან ეთიკასაც მოკლებულია, რომ ამ შენებელი საზოგადო დაწესებულებისა, იმავე დროს პასუხის მგებელიც იყოს. მხოლოდ, ყოველ შემთხვევაში კი ამ შენობის საქმის პასუხის მგებელი თავისთავის წინაშე ბანკის გამგეობა არის. თუ რამე გაფუჭდება, მას მოეთხოვება ამიტომ საჭიროა გამგეობამ ეხლავე უზრუნველჰყოს ამ ძვირფას შენობის კეთილი ბოლო.

სილნალის საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებას სახელმწიფო ბანკმა (თბილისის განყოფილებამ) 10,000 მანეთის კრედიტი გაუხსნა. ეს დადგენილება თბილისის განყოფილებისა გაგზავნილია პეტერბურგში, ცენტრალურ მართველობაში, დასამტკიცებლად.

საპოლიტეხნიკუმო ადგილისათვის სადეპუტატო საკრებულოს საბურთალოზე მოუგროვებია 294 დესეტინა მიწა. ყოველ შემთხვევაში მზადა აქვს და შეუძლიან კიდევ მიაწოდოს პოლიტეხნიკუმს ზედმეტი 50 დესეტინა.

საადგილ-მამულო კომისიის ანგარიშებიდან სჩანს, რომ კომისიას 6 წლის განმავლობაში მოუ-

რიგებია 158 საქმე მიწის სყიდვა-გაყიდვისა. კომისიის შუამავლობით მამული შეუსყიდნია 9,994 კომლ გლეხკაცს, ზომით 38,438 დესეტ. 1,712 ოთხკ. საჟ., ღირებული 1.851,082 მ. 17 კაპ.

1912 წელს კომისიამ მიწის სყიდვაში უშველა 172 კომლს, რომელთაც შეიძინეს 1,853 დეს. 427 ოთხკ. საჟ. 35,690 მან. 70 კაპ. ღირებული. მათ შორის მიეშველა სესხით: ამხან. „საქობოს"— 1,700 მან., ამხან. „დიდველას"—400 მან. და გლეხ რაჯაბაშვილებს— 740 მან.

მასთან ერთად გასცა სესხები: მევენახეთა საზოგადოება „კახეთს"—40,000 მან., მერძეველთა ამხანაგობა „ანკარას"—300 მანეთი, მერძეველთა კოოპერატიულ ამხანაგობა „ლილოს"—10 0 მანეთი, ცნობილ მეხილე ს. ს. ხეთაგურს სამაგალითო ხილის სანერგის მოსაწყობად 3,000 მან. ქართულ სამეურნეო საზოგადოებას—7,500 მან. და ყაზბეგის საქსოვ სკოლას—300 მანეთი. (ორი უკანასკნელი თანხა გაცემულია დაუბრუნებლად).

მომავალ კვირას 23 თებერვ ს სადეპუტატო საკრებულოში შესდგება თავად-აზნაურთა საგუბერნიო ყრილობა.

განსახილველი საგნები ამ ყრილობისა მეტად საყურადღებოა:

1. მოხსენება დამატებით ხელშეკრულებაზე და კახეთის რკინის გზის აქციების შეძენაზე;

2. მოხსენება პოლიტეხნიკუმისთვის მიწის შეძენის შესახებ.

3. საკითხი სანადელო მიწის გამოსყიდვაში მიღებული ფულის ნაწილის საერთო საქმეებისთვის მოხმარებისა.

4. მოხსენება დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის ხსენების უკვდავ ყოფის შესახებ.

5. მოხსენება სათავად-აზნაურო სახლის უკეთესად ექსპლოატაციისა.

6. საკითხი საადგილ-მამულო კომისიის რეორგანიზაციისა.

7. კომისიის მოხსენება— სათავად-აზნაურო კასის რევიზიის შესახებ.

8. 1912 წ. ანგარიშის განხილვა და 1913 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.

9. მოხსენება - თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანბატონის ანდერძით თავად-აზნაურობისთვის დატოვებულ მიწების შესახებ.

სომხები აღმოსავლეთ საქართველოში

ჩვენს ჟურნალს არა ერთხელ აღუნიშნავს ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ საქართველოსთვის უცხოელებს განსაკუთრებული ყურადღება აქვთ მიქცეული და დღითი-დღე მათი რიცხვი აქ იზრდება და მრავლდება; მეტადრე იმ რაიონებში, სადაც ქართველობის მაჯა სუსტადა სცემს. თუ ხსენებულ რაიონებში სომხების მცხოვრებთა სტატისტიკას მივმართავთ და ამისათვის შევადარებთ ორ წელს - 1886 წ. და 1911 წ.—ამაში ნათლად დავრწმუნდებით. მასთან ერთად ცხრილში ვაჩვენებთ შესადარებლად ქართველ მცხოვრებთა რიცხვსაც.

	1886 წ *)		1911 წ *)	
	ქართველი	სომეხი	ქარველი	სომეხი
თბილისის მაზრა (ქ. თბილისი)	57,552	49,364	98,125	129,420
ახალციხის „ — — —	23,188	15,042	8,224	28,996
ახალქალაქის „ — — —	3,741	46,284	6,806	76,446
ბორჩალოს „ — — —	4,173	27,188	7,937	65,591
სულ . .	88,654	137,878	121,092	300,453

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ 25 წლის განმავლობაში ქართველ მცხოვრებთა რიცხვმა იმატა 32,438 კაცი, მაშინ როდესაც სომეხთა რიცხვმა 162,575 კაცი. სომეხთა რიცხვი დღეს $2^1/_2$—ჯერ აღემატება ქართველობას, სამხრეთ-აღმოსავლეთის

*) „Кавказскіе календари 1897 და 1913 წ.

კუთხეში, ამ საუკეთესო და შესანიშნავ საქართველოს ნაწილში, თავის სამი ქალაქით—თბილისით, ახალქალაქით, ახალციხით.

რა გასაკვირველია ეხლა რომ ყველაფერი ამ კუთხისა სომხების ხელშია? და თუ მათი ზრდა მომავალშიაც ამ პროგრესსიით გაგრძელდა (ამაში კი დარწმუნებულნი ვართ, რადგანაც დღეს ოსმალეთის სომხებს მთავრობამ ამიერ კავკასიის კარები გაულო და გზაც უჩვენა: „საქართველოში“!) მთელი აღმოსავლეთი საქართველოც მალე ქედს მოიხრის და საბოლოოდ დაშნაკცაკანების ყრუ და მორჩილ ყმად გადაიქცევა.

S.

საკოოპერაციო კურსები

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება შეუდგა მოკლევადიან საკოოპერაციო კურსების მოწყობას ქ. თბილისში. ნებართვა გუბერნატორისაგან უკვე მიღებულია და საზოგადოება უგზავნის კიდეც ჩვენს კოოპერატიულ დაწესებულებათ—მოწოდებას და პროგრამას, რომელიც ქვევით მოგვყავს.

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება

თბილისი, 12 ივნისი 1913 წ.

ამა წლის ივლისში ქართული სამეურნეო საზოგადოება მართავს ქ. თბილისში კოოპერატიულ კურსებს.

კურსები მოკლე ვადიანია და გაგრძელდება სულ ათს დღეს 15—25 ივლისამდის.

კურსებზე წაკითხული იქნება ლექციები კოოპერაციის სხვა და სხვა საკითხებზე, ხოლო უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციას!

ლექციებს წაიკითხავენ რუსულად და ქართულად. ლექტორებად მოწვეულნი არიან როგორც რუსეთის ცნობილი ლექტორები, ისე ადგილობრივი ლექტორებიც.

ლექციები განზრახულია სოფლის ინტელიგენციისთვის და უმთავრესად იმათთვის, ვინც ხელმძღვანელობს კოოპერატიულ დაწესებულებათ, ან ასეთ ხელმძღვანელობას აპირებს.

ამისათვის სამეურნეო საზოგადოება ეცდება სოფლიდან ჩამოსულ პირთ ყოველგვარი დახმარება გაუწიოს, რომ თბილისში ცხოვრება ათი დღის განმავლობაში ძვირი არ დაუჯდეთ. ამათ შეეძლებათ უფასოდ მოსმენა ყველა ლექციებისა (გადახდებათ მხოლოდ საანგარიშო ბლანკებში ათი შაურიდან ერთ მანეთამდე). საზოგადოებას ნაშოვნი აქვს 40 კაცისათვის უფასო ბინა და საშუალება ექნება ამ 40 კაცს სასმელ-საჭმელი მიაწოდოს დღეში არა უძვირეს 30 კაპ. თითოს.

რადგანაც უფასო ბინის და შეღავათიან პირობებში საჭმელ-სასმელის მიმღებთა რიცხვი განსაზღვრულია, საზოგადოება სთხოვს კოოპერატიულ დაწესებულებათა გამგეობებს და იმ კერძო პირთ, ვინც სოფლიდან კურსებზე ჩამოსვლას მოისურვებს, შემოუთვალოს ეს საზოგადოებას (ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5, Грузинскому Обществу Сельскаго Хозяйства) **არა უგვიანეს 1 ივლისისა.** თუ სოფლიდან ჩამოსულთა რიცხვი 40 კაცზე მეტი აღმოჩნდა, უფასო ბინაზე დგომის უპირატესობა მიეცემათ იმათ, ვისი განცხადებაც უფრო ადრე იქნება მიღებული.

კერძო მსმენელთათვის ყველა ლექციების მოსმენა ეღირება 2 მან. ან თითო ლექციისა (1-2 საათი) 20 კაპ.

პ რ ო გ რ ა მ ა კ უ რ ს ე ბ ი ს ა:

1. კოოპერაციის განვითარება, 4 საათი (ქართულად) ლექტორი **სვ. რ. ვახვახიშვილი.**
2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, 8—12 საათი (რუსულად).

ლექტორი **ა. ევდოკიმოვი.**

3. წვრილი კრედიტის დაწესებულებანი, 6—7 საათი (რუსულად) ლექტორი ა. ა. ორლოვი.

4. ანგარიშის და საქმის წარმოება წვრილი კრედიტის კოოპერატ. დაწესებულებებში—12 საათი (ქართულად) ლექტორი კ. პ. კანდელაკი. და ა. მ. კახელაძე.

5. მომხმარებლი საზოგადოებანი 5—6 საათი (რუსულად) ლექტორი ა. ა. ორლოვი.

6. კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში — 4 საათი (ქართულად) ი. გ. ქუთათელაძე.

7. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და კოოპერაცია—3 საათი (ქართულად) დავ. ვ. ვაჩნაძე.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო.

ჩვენ ძლიერ მოხარულნი ვართ, რომ ქ. ს.—მეურნეო საზოგადოება ამ პრაქტიკულ გზის დაადგა და იმედი გვაქვს არ შეუშინდება პირველი ნაბიჯის მოსალოდნელ სისუსტეს და შეცდომებს. უნდა მოველოდეთ, რომ საზოგადოება და არსებაც მხარს დაუჭერს ამ ფრიად საგულისხმოეს საქმეს და მსმენელებსაც ბევრს მოიზიდავს, რაც ისე საჭიროა ეხლა, რაც ჩვენში მეტად გაძლიერდ საკრედიტო კოოპერაცია და თანდათან იზრდება კოოპერაციის სხვა დარგებ-ც. ჩვენის მხრით, ჩვენც მოუწოდებთ ყველა საკოოპერაციო დაწესებულებათა გამგეთ და ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ქ. ს.-სამეურნეო საზოგადოების მოწოდება.

თსოვნა ქართველ მაჰმადიან ოჯახისა

სოფელ აწყურში მოსახლეობს ერთი ბეგი (თავადიშვილი), ქართველი მაჰმადიანი, რომელიც, თაეის შვილებს ზრდის გორის სამასწავლებლო სემინარიაში. მისი შვილები შესაფერად ლაპარაკობენ და სწერენ ქართულს და გულითაც ქართველნი არიან. ამავე ბეგს ჰყავს 11—12 წლის ქალი, რომელიც სწავლობს აწყურის საეკლესიო სკოლაში, საცა მასწავლებლად იმყოფება მღვდელი ეფრემ ინასარიძე, რომლის მეცადინეობით, ბილილოსთან ერთად (სახელი ბეგის ქალისა) სხვა მაჰმადიანი ქართველებიც სწავლობენ, სხვა საგნებთან ერთად, ქართულსაც. თვითონ ბილილო ნიჭით საესე და სწავლის წყურვილით გატაცებული გოგოა და დიდი მოყვარული ქართული წიგნებისა.

ამ ბავშვს, ძლიერ სწყურიან სკოლაში სწავლის გაგრძელება. რადგან თვით აწყურის სკოლას ბილილო მალე ამთავრებს, მამისა და ძმების აზრით სახლში ჯდომა ხელს არ მისცემს.

მამაც და თავის ძმებიც დიდი მოსურნენი არიან, ეს ბავშვი რომელიმე **ქართულ** სასწავლებელში მიაბარონ, რადგან არა სურთ ბილილოს თათრულ-რუსულ სკოლაში აღზრდა: ამბობენ, ჩვენ ქართველები ვართ და გვსურს ჩვენი შვილი ისეთ სკოლაში აღიზარდოს, საცა განსაკუთრებით ქართველები იქნებიან და ქართულსაც ასწავლიანენ.

მამის, მეტადრე ძმის სურვილია, ბილილო მონასტერში აღიზარდოს, რადგან ცხოვრება იქ უფრო კარჩაკეტილია და მაჰმადიანთა ჩვეულებით, იმათ ქალს ამისთანა ცხოვრება უფრო შეჰფერისო. მხოლოდ იმას იხვეწებიან, ოღონდ რჯულს ნუ შეუცვლით და ქართული აღზრდა მიეცითო. ეს თქვენთვისაც და ჩვენთვისაც მით უფრო სასარგებლოა, რომ „ჩვენი მამები დაინახავენ, რომ იმათ შვილებს ქართველი ქრისტიანები არ ნათლავენ, არა სურთ იმათი გაქრისტიანება და მაშინ ისინიც გაჰბედავენ, დარწმუნებულნი რომ მათს სინდისს ხელს არ შეახებენ,—და თავიანთ შვილებსაც დაუწყებენ მიბარებას ქართულ სკოლებში, და ეს, თუ თქვენ გულწრფელადა გსურთ, რომ ჩვენ ქართული ლაპარაკი არ დავივიწყოთ, ქართველებს არ მოვწყდეთ,—პირდაპირი გზა იქნება მიზნის განხორციელებისადმი“.

მართლაც, აი კიდევ ერთი მაგალითი. როცა სოფელ შურდოდან სოფ. ქართ-მაჰმისა ბატონ ალექსანდრე ყიფშიძეს სურდა წამოეყვანა იქაური მაჰ-

მადიანი ბავშვი, გვარად ხმალაძე, დედ-მამა არას გზით არ აძლევდა იმის შიშით რომ ქართველები ჩვენ შვილს წაიყვანენ, ქართულად მონათლავენ და შვილი დაგვეკარგებაო. *) მაგრამ როცა დარწმუნდნენ დედ-მამაც და სხვებიც რომ შვილი მათი არამც თუ არ მოუნათლავთ, პირიქით მათი შვილი ქართულ გიმნაზიის მეოთხე კლასში ბრძანდება ისევ თავის რჯულზე დარჩენილი, მეზობლებთან თავიც მოაქვთ: აი ჩვენი შვილი ნასწავლი გვყავსო. მეზობლებიც, დარწმუნებულნი მაგალითით, რომ შვილი ისევ მაჰმადიანი რჩებათ, ახლა პირ იქით იხვეწებიან, წაიყვა" ჩვენი შვილები—ასწავლეთო. მხოლოდ სამწუხარო ის არის, არა ვინა ჰყავთ ხელის შემწყობი, რომ იმათ შვილებს გზა გაეხსნას სწავლისაკენ.

ჩემი იქ ყოფნის დროს, სხვათა შორის ბეგის თხოვნა ის იყო, როგორმე მოგვიხერხეთ, ეს ქალი სადმე ქართულ სკოლაში მიგვაბარებინოთ და ამითი გზა მისცეთ სადმე ჩვენ ქალსაო. უფრო კი იმათი სურვილია მცხეთის მონასტერში მისცენ თავიანთი შვილი, თუ კი სარწმუნოებას არ შეეხებიან. ამბობენ, დეე ასწავლონ ჩვენ შვილს ყველაფერი, რასაც კი მონასტერში გადიან, ოღონდ რჯულს კი ნუ შეუცვლიანო.

ახალციხის მაზრიდან (ვგულისხმობ ქართველ მაჰმადიანებს) არა მგონია, რომელიმე ქალს ასწავლიდნენ სადმე და თუ ასწავლიან, ისევ ბაქოს მაჰმადიან ქალთა სასწავლებელში. ეს შემთხვევა კი ქართველმა საზოგადოებამ ხელიდან არ უნდა გაუშვას, უნდა მოახერხოს როგორმე და იმათ ქალიშვილს გზა მისცეს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქალი ნიჭიერია, მერე მთელ ოჯახსა სურს თავიანთ შვილის ქართულად განსწავლა და დიდი ცოდვა იქნება არ ვისარგებლოთ შემთხვევით ცოტ ცოტა მაინც მივიზიდოთ ქართველი მაჰმადიანობა საერთო-საკულტურო საქმეში. ჩვენ რომ ამ ბავშვს გზა მივცეთ, მაშინ სხვა ოჯახებიც მიჰბაძავენ იმათ მაგალითს და ეგები ცოტად თუ ბევრად, იმათ ქალიშვილებმაც დაიწყონ ჩვენ სკოლებში სწავლა. ქართულ სკოლებში აქა-იქ შეხვდები თითო-ოროლა ქართველ მაჰმადიან მოსწავლე ვაჟებს და ქალებს კი სრულებით ვერსად ვერ შეხვდებით. და ეხლა კი, თუ ქართველი საზოგადოება მოინდომებს, ჩვენ გვეყოლება ერთი ქართველი მაჰმადიანი ქალი, რომელიც ერთ დროს დამცველი იქნება თავისი ძველი და ეხლა დაკარგული ქართული ენისა. იმედია, ამ თხოვნას ქართველ მაჰმადიან ოჯახისას, ქართველი საზოგადოება ყურადღებით მოექცევა და ხელს შეუწყობს თავიანთ სკოლებში მიღებით, ქართველ მაჰმადიანთა ჩათრევას ეროვნულ ფერხულში.

ვთხოვ სხვა გაზეთებსაც, გადაბეჭდონ ეს წერილი.

იასონ კერესელიძე.

*) როგორც დანამდვილებით გავიგეთ, პირიქით პატივცემულ ალ. ყიფშიძეს, რომელიც იმ დროს მომრიგებელ-შუამავლად იყო, ისეთ ნდობას უცხადებდნენ, რომ მშობლებმა შვილი „აჩუქეს" როგორც გინდა ისე ასწავლეო.

სახალხო უნივერსიტეტის გარშემო

ერთი ქალი მეკითხება: არ იცით რომელ უნივერსიტეტის სასარგებლოდ არის ეს სეირნობა, — ეხლა რომ უნდა ააშენონ, იმისათვის თუ? არა, უპასუხე მე—სახალხო უნივერსიტეტისათვის. სახალხო? განა ამისთანა უნივერსიტეტი არსებობს? მერე რას აკეთებს? თუმცა ჩემი მოსაუბრე გაკვირვებული იყო, მაგრამ, არც თუ მე მეოცა ნაკლებ: ქალაქში სცხოვრობს და არ იცის არსებობა და მოღვაწეობა სახალხო უნივერსიტეტისა. სამწუხაროდ ამის უცოდინარი ელემენტები ბევრი მოიპოვება ჩვენში. შეიძლება იფიქრონ—ალბად არაფერს აკეთებს სახ. უნივ. და იმიტომაც არ იცნობენო. მაგრამ შემცდარი აზრია, რადგან სახ. უნივერსიტეტი მუყაითად მუშაობს და მიზეზი უყურადღებობისა უფრო სხვა მგონია. საზოგადოება არ არის, ან უკეთ რომ ვთქვათ, ნაკლებად არის დაინტერესებული იმ ხალხით, რომლის წინაშე დიდს სამსახურს ეწევა სახ. უნივერს. მართლაც, ეს ერთად ერთი კულტურული დაწესებულებაა, რომელსაც დაუსახავს მიზნად ხალხის, დაბეჩავებული ხალხის ჭირ ვარამს გაეცნოს, ჩაიხედოს მათ გულში და რამდენადაც ძალა შესწევს, გასცეს პასუხი ყველა იმ კითხვებს, რომელიც ებადება მათ ცნობის მოყვარეობას.

ამ მიზნით სახ. უნივერსიტეტს აქვს სალამოს პირველ დაწყებითი სკოლები, საცა იღებენ მოწაფეთ, განურჩევლად წლოვანებისა, ეროვნების და სქესისა. 7—9 საათამდის კლასისკენ მიეშურებიან მუშაობისაგან დაღლილ-დაქანცულნი, მაგრამ სწავლისთვის მუყაითნი შრომის შვილები. ამ სკოლებში თქვენ ნახავთ 12 წ. ბავშვს 50 წ. მოხუცის გვერდზე. როგორ ეწაფებიან თითოეულ სიტყვას მასწავლებლისას! აქ ასწავლიან წერა-კითხვას, ანგარიშს, ქართულს, რუსულს, მართავენ საუბრებს

და კითხვებს და სხ., რაშიაც თვითონ მუშები გულ-მოდგინეთ იღებენ მონაწილეობას.

სახ. უნივ. აქვს აგრეთვე საღამოს კურსები, საცა დაიარებიან უფრო მომზადებული მუშები. აქ ისინი ისმენენ ლექციებს მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან: ფილოსოფია, ისტორია ანატომია, ქართული ლიტერატურა, ქ.ისტორია და სხვა, რომელთაც კითხულობენ მასწავლებელი ქალები და კაცები, იურისტები და სხ. ლექციების შემდეგ იმართება საუბარი. არსად არ შეამჩნევთ ისეთს, ცოდნისთვის გაფაციცებულ თვალებს, კითხვებს, როგორც სახალხო აუდიტორიებში. არა ერთხელ ეკითხები შენს თავს—რატომ **ჩვენ**, ამ საგნების შესწავლის დროს, არ გვებადებოდა ესეთი მახვილი კითხვები, ასეთი ინტერესი სწავლისადმი. პირდაპირ განცვიფრდება ადამიანი, თუ—სად წაუკითხავთ ამოდენი, ან სად უსწავლიათ. კვირაობით იმართება ყველასათვის ხელ-მისაწდომ ფასებში საჯარო ლექციები ქალაქის განაპირას, და აგრეთვე ზუბალაშვილის სახლში. იმართება ექსკურსიები ზაუხულობით. ამ კოტა ხანში ეწყობა მუშა ქალთა მომღერალი გუნდი.

ერთი სიტყვით, ძალიან რომ არ გავაგრძელოთ, აღნიშნული დაწესებულება, მთელ თავის ძალღონეს ახმარებს იმას, რომ გააუმჯობესოს უფერული, მკრთალი ცხოვრება იმ მშრომელი ხალხისა. რომელიც შეადგენს კაცობრიობის ერთ-ერთ ბურჯსა. ეხლა კი, ჩვენდა საუბ-დროდ, მოტერიალური მხარე ძალიან ცუდად არის სახ. უნივერსიტეტისა. სეირნობამ სულ 15—20 მან. მოგვცა, არსაიდან არაფერი სახსარი და საშინელი საკითხი დგას ჩვენ წინა: ყოფნა არ ყოფნა ამ დაწესებულებისა და სურათი, რომ რამდენიმე ასეულ მუშას დაეხურება სწავლის ტაძარის კარები.

ლექტორი შ—ა.

დიმიტრი არაყიშვილის კონცერტი

წარსულ შაბათს ქართულ თეატრში დიმ. არაყიშვილმა კონცერტი გამართა. კონცერტმა მრავალ საზოგადოებას მოუყარა თავი, რაც აიხსნება იმითაც, რომ ჩვენი ნიჭიერი კომპოზიტორი პირველად აცნობს ქართულ საზოგადოებას თავის მუსიკალურ ნაწარმოებთ.

კონცერტის წინ ბ-ნ. არაყიშვილმა მოკლე და დასაბუთებული მოხსენება წაიკითხა ქართულ მუსიკის შესახებ. როგორც ჩვენ შევიტყეთ, ეს ლექცია შესავალი იქნება იმ წიგნისა, რომელიც თურმე განზრახულია გამოიცეს მოსკოვში და რომელიც შეეხება ქართულ მუსიკას. მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზედ და მომხსენებელი ხანგრძლივის ტაშის კვრით იქმნა დაჯილდოვებული.

მეორე განყოფილებაში ბ. არაყიშვილმა ერთხმოვან ხალხურ სიმღერათა დემონსტრაცია მოახდინა, მაგრამ მთავარი ღერძი საღამოსი მესამე და მეოთხე განყოფილებანი იყვნენ. მესამე განყოფილებაში შესრულებულ იქმნენ უმთავრესად ვოკალური ნაწარმოებნი ავტორისა და საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სტილისა და მრავალ-ფეროვანების მხრივ ეს განყოფილება მეტად შინაარსიანად იყო შედგენილი. აქ იყვნენ საკუთრივ ქართული ჰანგები, აღმოსავლეთური და საზოგადო-ევროპიული. მეტად დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელზედ თამარ ედოფლის კავატინამ და აღმოსავლეთურმა ჰანგმა „Въ царствѣ розъ и вин“ როგორც ავტორი—დ. არაყიშვილი, აგრეთვე აღმასრულებელნი ქ—ნი კოლოტოვისა და ბ. სარაჯიშვილი მრავალჯერ იქმნენ გამოწვეულნი.

მეოთხე განყოფილება მთლად ავტორის სიმფონიურ ნაწარმოებთაგან შესდგებოდა. შესავალმა—„თქუმუ-ება რუსთაველზედ“, ნათლად დაგვანახვა, რომ ბ. არაყიშვილი სერიოზული და ნიჭიერი კომპოზიტორია. სხვა ნომრებიც აღტაცებას იწვევდნენ და ორკესტრისაგან გამეორებულ იქმნენ. მშვენივრად არის დაწერილი „ლეკური“. პატარა მაგრამ მოხდენილი „ცეკვა ესპერალდასი მსმენელთათვის მუდამ სასიამოვნო და მოუწყინარი დარჩება. „ცეკვა ესმერალდასი“ სულ სადა მუსიკალური ფრაზაა, იგი პატარა განცდაა ავტორისა და, რასაკვირველია, უპრეტენზიო თხზულებად უნდა ჩაითვალოს, ავტორის სხვა თხზულებათა შორის. მაგრამ მასში გამოსჭვივის სწორედ ის, რასაც ეძახიან ღვთის ნაპერწკალს და ავტორის ნიჭს, ამავე განყოფილებაში იქმნა აღსრულებული ივ. სარაჯიშვილის მიერ „მგოსნის სიმღერა“ ქალთა ხოროთი და ორკესტრის აკომპანიმენტით.

დასასრულ საზოგადოებამ და ორკესტრმა ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა ბ. დიმიტრი არაყიშვილს. მიართვეს ყვავილები და ნასიამოვნები და აღფრთოვანებული საზოგადოება დიდხანს არ იშლებოდა.

რაე.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.